თემატური ჯგუფი - პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა ანგარიში

2011-2012 წლები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

1. *აქტივობის დასახელება*

თემატური ჯგუფის (პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა) საქმიანობა.

2. *პერიოდი/თარიღი*

იანვარი 2011 - აპრილი 2012

3. *ჯგუფის ხელმძღვანელი/ფასილიტატორი დაწესებულება/*

მარინა ჟვანია/განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

4. *მაკოორდინირებელი ორგანოები*

ეროვნული პროფესიული საბჭო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

5. *ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეები*

დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, პროფესიული კავშირები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

6. *აქტივობის მიზანი*

თემატური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებითა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან მისი საქმიანობის კოორდინაციით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება/დახვეწას, დარგობრივი და პროფესიული სტანდარტების შემუშავებას, დამტკიცებასა და შემდგომ სრულყოფას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, VET SPSP პროგრამის განხორციელების მონიტორინგს.

7. *აქტივობის შედეგი/შედეგები*

- შემუშავდა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლის 10 დეკემბერს (ბრძანება №120/ნ) დაამტკიცა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტი;
- მომზადდა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოს წარედგინა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 აპრილის №84/ნ ბრძანებით შევიდა ცვლილებები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში;
- მომზადდა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ 2010-2011 წლებში დამტკიცდა 226 პროფესიული სტანდარტი;
- მიმდინარეობს დამტკიცებული პროფესიული სტანდარტების სრულყოფა/დახვეწა;
- მომზადდა და ფუნქციონირებს პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა;

- თემატური ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით მიმდინარეობს კონსულტაციების გაწევა პროფესიულ სტანდარტზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მიმართულებით.

აქტივობის დეტალური აღწერა

1. მონაწილეები

ჯგუფში 18 წევრია (დანართი - თემატური ჯგუფის შემადგენლობა).

2. აქტივობის ფასილიტატორები/კოორდინატორები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი/ეროვნული პროფესიული საბჭო.

3. აქტივობის შინაარსისა და ძირითადი საკითხების აღწერა

პროფესიული განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციის სისტემის განვითარების მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2010 წლიდან ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები და დარგობრივი კომიტეტები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლების, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. იანვარი 2011 - აპრილი 2012 პერიოდში ჩატარდა თემატური ჯგუფის - პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა 12 სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (მ.შ. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს) დოკუმენტის განხილვა;
- პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხის განხილვა;
- დასამტკიცებელი პროფესიული სტანდარტების განხილვა;
- პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის წარმოების წესის განხილვა და მოქმედი მონაცემთა ბაზის მიმოხილვა;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში მძიმე ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორის, პრაქტიკოსი ექთნის და პრაქტიკოსი ბებიაქალის, პროფესიული სპეციალიზაციის დამატების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების განხილვა;
- ETF-ის პროექტისათვის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების განხილვა;
- აშშ საზოგადოებრივ კოლეჯებში საქართველოს პროფესიული განათლების წარმომადგენელთა სასწავლო ტურის შედეგების პრეზენტაცია;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვა;

- პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის თემატური ჯგუფის 2011 წლის ანგარიშისა და 2012 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განსახორციელებელი ღონიძიებების გეგმისა და შედეგების განხილვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩასატარებელი ტრენინგის პროგრამისა და შედეგების განხილვა;
- სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების მოსმენა;
- ეროვნული პროფესიული საბჭოსათვის წარსადგენი რეკომენდაციების განხილვა.

ხორციელდებოდა თემატური ჯგუფის მიერ აღნიშნულ საკითხებზე მომზადებული წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე განსახილველად.
პროფესიული კვალიფიკაციებისა და პროფესიული სტანდარტების განხილვები მიმდინარეობდა დარგობრივი კომიტეტების სხდომებზე. 2011 წლის იანვარში ცენტრის დირექტორის ბრძანებებით (№№19-30) განახლდა ამ კომიტეტების შემადგენლობა. სექტემბერში მათ კიდევ ორი ჯგუფი დაემატა: არქიტექტურისა და მეცნიერების/ზუსტი მეცნიერების. შესაბამისად, დარგობრივმა კომიტეტებმა/ თემატურმა სამუშაო ჯგუფებმა შემდეგი სფეროები მოიცვეს:

1. სამთო და გეოინჟინერია;
2. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მეტალურგია და მასალათმცოდნეობა;
3. ხელოვნების მიმართულება;
4. ბიზნესის ადმინისტრირება;
5. ტურიზმი;
6. ჯანდაცვა;
7. საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტი;
8. ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
9. აგრარული მეცნიერებები;
10. მასობრივი კომუნიკაცია/ ჟურნალისტიკა;
11. მშენებლობა და გარემოს ინჟინერია
12. კომპიუტინგი/ინფორმატიკა და ტელეკომუნიკაცია
13. არქიტექტურა;
14. მეცნიერება/ზუსტი მეცნიერება.

დარგობრივი კომიტეტების აქტიური მონაწილეობით 2010 წელს მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციების ნუსხა (კლასიფიკატორი) და ისინი მონაწილეობდნენ პროფესიულ სტანდარტების შემუშავებაში. მათი ჩართულობით 2010 წელს შემუშავებული და დამტკიცებულია 107, ხოლო 2011 წელს 119 პროფესიული სტანდარტი, რომლებიც დამტკიცებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დამტკიცებული პროფესიული სტანდარტები, ისევე როგორც მათი პროექტები, განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე და მისაწვდომია პროფესიული განათლების სისტემის მომხმარებლებისა და პროვაიდერებისათვის. არსებობს ამ სტანდარტების დარგობრივ კომიტეტებთან/თემატურ სამუშაო

ჯგუფებთან განხილვის ოქმები. 2011 წელს ამ ჯგუფების სხდომებზე განხილულ იქნა აგრეთვე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში კონკრეტული პროფესიული სპეციალიზაციების დამატების საკითხები.

4. მიზნის მიღწევის ხარისხი

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება და მისი დახვეწა/შევსება, ასევე 226 პროფესიული სტანდარტის დამტკიცება და მათი შემდგომი სრულყოფა მიმდინარეობდა ამ პროცესებში თემატური ჯგუფის აქტიური მონაწილეობით. ჯგუფის უშუალო კოორდინაციით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას. ეროვნულ პროფესიულ საბჭოს სისტემატურად მიეწოდება თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული წინადადებები და რეკომენდაციები.

5. ამოცანებისა და მიზნების მიღწევის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

თემატური ჯგუფის წარმატებულ მუშაობას ხელი შეუწყო ჯგუფის წევრების აქტივობამ და განსახილველი საკითხებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან სწორმა კოორდინაციამ. ჯგუფის შემადგენლობაში 2012 წლიდან გარკვეული ცვლილებები განხორციელდა.

6. აქტივობის საერთო შეფასება და რეკომენდაციები

თემატური ჯგუფის საქმიანობის შედეგები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს. ამავე დროს სასურველია მიღწეულ იქნას თემატური ჯგუფის მუშაობაში ჩართული დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა მაქსიმალური აქტივობა და მათი მხრიდან საკითხების ინიცირება.

დანართები:

1. თემატური ჯგუფის წევრთა სია.

დანართი 1

თემატური ჯგუფის შემადგენლობა

№	**სახელი, გვარი**	**ორგანიზაცია**	**თანამდებობა**
1.	მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი
2.	გია ტარიელაძე	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3.	ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი
4.	ნანი დალაქიშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი
5.	ნინო კოპალეიშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	სტრატეგიული განვითარების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი
6.	ლალი ებანოიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
7.	დიმიტრი მოლაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
8.	ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე
9.	ლელა წიფურია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი
10.	კახა ჭელიძე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი

11.	დავით აბულაძე	საქართველოს არქიტექტორთა კავშირი	საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე
12.	რევაზ საყვარელიძე	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში	პროფესიული პროგრამების კოორდინატორი
13.	მადონა გოგობერიშვილი	სსიპ - პროფესიული კოლეჯი „სპექტრი“	ხარისხის მენეჯერი
14.	ხათუნა კალატოზიშვილი	შპს - „საქართველოს რკინიგზა“	ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი
15.	ნინო ძოწენიძე	საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი	აღმასრულებელი საბჭოს წევრი
16.	ლაშა ბლიაძე	საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირები	ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე
17.	მალხაზ ასლამაზაშვილი	სსიპ - კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“	დირექტორის მოადგილე
18.	ნანა თვალთვაძე	სსიპ პროფესიული კოლეჯი „პროფესიონალი“	დირექტორის მოადგილე